ოქმი № 5

ქ. ზუგდიდი 07 ივლისი 2017 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 31 წევრიდან 26 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლევან შონია** - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;
2. **მამუკა კვიტაშვილი** -აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
3. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **ლაშა გოგია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
5. **მაიზერ ნანავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
6. **ლაშა ადეიშვილი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
7. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
8. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
9. **ვარლამ ქაჯაია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
10. **კაპიტონ ჟორჟოლიანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
11. **გოჩა დგებუაძე** - სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
12. **ჯუმბერ ლაშქარავა** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
13. **ბადრი კალანდარიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
14. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი;
15. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
16. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
17. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
18. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
19. **გონერ კვარაცხელია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
20. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
21. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
22. **ირაკლი კაკულია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი;
23. **ალექსანდრე თოფურია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
24. **ირაკლი გოგოხია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;
25. **ნატალია შეროზია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
26. **თაზო ფაცაცია** - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **დათო კოდუა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე.
3. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
4. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
5. **ლაშა გვასალია** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსი.
6. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე.
7. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სახელმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

2015-2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2015-2017 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ნუგზარ გაბელია.

ნუგზარ გაბელიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2015-2017 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და აბაშის, მესტიისა და ხობის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანია შემდეგი ცვლილებები:

1. **აბაშის მუნიციპალიტეტი:**

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ითხოვს სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილება და აბაშის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმას დაემატოს შემდეგი პროექტი:

ა) აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. თხმელარის მაღაზიიდან საძოვრების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობის სამუშაოები - თანხით 403 101 ლარი.

აღნიშნული პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებულ იქნა და არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

2. **მესტიის მუნიციპალიტეტი:**

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ითხოვს სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მესტიის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმას დაემატოს შემდეგი პროექტი:

ა) „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი ცენტრი"- პროექტის საერთო ღირებულება 142 655 ლარი.

აღნიშული პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებულ იქნა და არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

3. **ხობის მუნიციპალიტეტი:**

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ითხოვს სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხობის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმას დაემატოს შემდეგი პროექტები:

ა) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ საბაჟოში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის (მოასფალტება) სამუშაოები-თანხით 340 000 ლარი;

ბ) ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის) სამუშაოები-თანხით 173 000 ლარი.

აღნიშული პროექტები სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებულ იქნა და არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმები, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

აზრი გამოთქვა: სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის და მოსახლეობის სოც-ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2018 წლების განახლებული სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).

2. 2015-2018 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ლ. შონია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/